

24.02.2010

შტამბის შეთეთრება

ხეხილის შტამბი გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, მზის პირდაპირი სხივებით ზიანდება, იწვება ხეხილის შტამბის ნაწილები, ნაყოფი და ფოთოლი. ნაყოფის კანზე ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც თანდათან შიგნით აღწევს. ამ სახის დაზიანების შედეგად შტამბი და ქერქი იზზარება. დაზიანებულ ადგილებში მრავალი მავნებელი იბუდებს და მშვენივრად გრძნობს თავს, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

შტამბის დაზიანება თავიდან რომ ავიცილოთ, ამისათვის ადრე გაზაფხულზე მას უნდა წაესვას თიხისა და კირის ნარევის მასა. თეთრი ფერი ადვილად აირეკლავს მზის სხივებს და შტამბი არ გადახურდება, შესაბამისად არც დასკდება.

ასევე ადრე გაზაფხულზე შეთეთრებული შტამბი, დაცულია ნიადაგის ზედა ფენებში გამოზამთრებული მავნებლების ზემოქმედებისგან.